

რა არის პანდემიის შემდგომი პერიოდი?

10 აგვისტო 2010 წელი

1. რას ნიშნავს პანდემიის შემდგომი პერიოდი? როგორ შეიძლება გავიგოთ, რომ პანდემია დასრულდა?

H1N1 პანდემიის დამახასიათებელი თვისება იყო გრიპის ახალი ვირუსის აღმოცენება, რომლის მიმართაც ადამიანთა დიდ რაოდენობას არ ქონდა იმუნიტეტი. მან მრავალ ქვეყანაში გამოიწვია დაავადების უჩვეულო და ექსტენსიური აფეთქებები ზაფხულის თვეებში და ავადობის ძალზე მაღალი მაჩვენებლები ზამთარში. პანდემიისთვის ასევე დამახასიათებელი იყო პანდემიური ვირუსის თითქმის სრული დომინანტა გრიპის სხვა სეზონური ვირუსებისადმი და უჩვეულო კლინიკური მოდელი – დაავადების ყველაზე მძიმე შემთხვევები ვითარდებოდა ახალგაზრდა ასაკის მოსახლეობაში.

დღევანდელი სიტუაციისთვის დამახასიათებელია: ვირუსი გავრცელდა ყველა ქვეყანაში; ბევრ ადამიანს მრავალ ქვეყანაში აქვს გარკვეული იმუნიტეტი ახალი ვირუსისადმი; ჩრდილო და სამხრეთ ნახევარსფეროებში არ ხდება დაავადების დიდი და უჩვეულო ზაფხულის აფეთქებები; მრავალ ქვეყანაში რეგისტრირდება სეზონური გრიპის A (H3N2) და B ვირუსები. ამ ფაქტიურ მონაცემებზე დაყრდნობით, ალბათობის მაღალი ხარისხით შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ახლო წარსულის პანდემიური მოდელი განდევნა გრიპის სეზონურმა მოდელმა. მიუხედავად ამისა, საჭიროა გვესმოდეს, რომ გრიპის ახალი H1N1 ვირუსი შესაძლოა შენარჩუნდეს მრავალი წლის განმავლობაში და გრიპის ცალკეული სეზონი იცვლებოდეს ფართო დიაპაზონში. ცალკეულ წლებში მათი ზემოქმედება შესაძლოა იყოს ზომიერი, ზოგიერთ წლებში – საკმაოდ მძიმე.

მოსალოდნელია, რომ პანდემიის შემდგომ პერიოდში შესაძლოა კვლავ ქონდეს ადგილი H1N1 ვირუსით გამოწვეულ დაავადების შემთხვევებსა და აფეთქებებს. გარდა ამისა, სრულიად შესაძლებელია, გარკვეული დროის განმავლობაში H1N1 ვირუსით გამოწვეულმა მძიმე დაავადებამ, ვირუსული პნევმონიის ჩათვლით, ძველებურად შეუსაბამოდ დააზარალოს შედარებით ახალგაზრდა ასაკობრივი ჯგუფები, მათ შორის ორსულები. შეუძლებელია განისაზღვროს შედარებით ახალგაზრდა ასაკობრივი ჯგუფი დარჩება მძიმე დაავადების მაღალი რისკის ქვეშ ხანგრძლივად, თუ სიტუაცია შეიცვლება, და თუ შეიცვლება, როდის. ზემოთქმულის გათვალისწინებით, ისევ მნიშვნელოვანია თავდაცვის მიზნით უსაფრთხოების ზომების მიღება. გრიპით ინფიცირების ზოგადი რისკის შემცირებისკენ მიმართული ღონისძიებები, როგორცაა ვაქცინაცია, ხელების დაბანა და სუნთქვის ჰიგიენა, ხელს შეუწყობს H1N1 ვირუსით ინფიცირების რისკის შემცირებას.

2. ის ფაქტი რომ პანდემია დასრულდა ნიშნავს თუ არა რომ H1N1 ვირუსით ნაკლები ადამიანი დაავადდება და გარდაიცვლება?

შეუძლებელია ვივარაუდოთ H1N1 ვირუსის შემდგომი ზეგავლენა ჯანმრთელობაზე. ერთი მხრივ მოსალოდნელია, რომ ახლო მომავალში H1N1 ვირუსი განაგრძობს ცირკულაციას სეზონური გრიპის შტამის სახით და აქედან გამომდინარე, ადამიანთა მზარდ რაოდენობას მის მიმართ ჩამოუყალიბდება იმუნიტეტი. მეორე მხრივ ასევე მოსალოდნელია, რომ ვირუსი დროთა განმავლობაში შეიცვლება ანტიგენური დრეიფის შედეგად. ამგვარი ცვლილება შესაძლოა ნიშნავდეს, რომ იმუნიტეტის დამცველობითი ძალა, განვითარებული ვირუსის ამ სახეცვლილებისადმი, შეიძლება შესუსტდეს ამ ვირუსის შემდგომი სახეცვლილებებისდმი. გარდა ამისა, ბევრი ადამიანი არ იყო ინფიცირებული H1N1 ვირუსით პანდემიის დროს და ამიტომ ზოგიერთ ქვეყანაში შეიძლება არსებობდეს მხარეები სადაც პანდემიის ზემოქმედება დაბალი იყო და იგი უფრო მძიმე გახდეს მოგვიანებით.

3. რატომ დაჭირდა ამდენი დრო ჯანმოს პანდემიის დასრულების გამოცხადებისთვის?

პანდემიის დასრულების დროის განსაზღვრისთვის ჯანმო აწარმოებდა ეპიდემიოლოგიური და ვირუსოლოგიური მონაცემების შესწავლას მსოფლიოში, როგორც ჩრდილო, ისე სამხრეთ ნახევარსფეროში. კერძოდ ჯანმო ელოდა სიტუაციის განვითარებას სამხრეთ ნახევარსფეროსა და ტროპიკებში.

4. რას ნიშნავს პანდემიის დასრულება ადამიანებისთვის?

რაიმე მნიშვნელოვან ზეგავლენას ადამიანთა ძირითადი რაოდენობის ყოველდღიურ ცხოვრებაზე არ მოახდენს. იმის მიუხედავად როგორ გადაიტანს მსოფლიო პანდემიას, გრიპის ვირუსები დაავადების საფრთხეს ქმნიან მრავალი ადამიანისთვის და ამიტომ მათ უნდა დაიცვან უსაფრთხოების ზომები დაინფიცირების რისკის შემცირების მიზნით. ეს ზომები მოიცავს გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინის გამოყენებას, სადაც ხელმისაწვდომია და განსაკუთრებით მძიმე დაავადების განვითარების რისკის ქვეშ მყოფთა მიერ. დაავადებულთა უმთავრესი ნაწილის მკურნალობა უსაფრთხოდ შეიძლება სახლის პირობებში, მაგრამ თავმდგმურმა და ოჯახის სხვა წევრებმა უნდა იცოდნენ, რომ თუ დაავადებულს განუვითარდა სიმპტომები, რომლებიც შესაძლოა მიუთითებდნენ დაავადების დამძიმებაზე, როგორცაა - ხანგრძლივი მაღალი ცხელება, სუნთქვის გაძნელება ან გონების დაბინდვა, საჭიროა მიმართონ პროფესიულ სამედიცინო დახმარებას.

5. გრიპის H1N1 ვირუსი ისევე იმავე მაღალი რისკის ჯგუფებში გამოიწვევს მძიმე დაავადებას?

არსებულ ფაქტებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ H1N1 ვირუსი კვლავ წარმოადგენს მძიმე დაავადების განვითარების რისკს იმავე ჯგუფებში, მცირეწლოვანი ბავშვების, ორსულების, სასუნთქი სისტემისა და ჯანმრთელობის ქრონიკული დარღვევის მქონე პირების ჩათვლით.

6. რა შეიძლება მოიმოქმედოს ადამიანმა გრიპის H1N1 ვირუსისაგან დაცვისათვის?

ადამიანებმა საკუთარი თავი და გარშემომყოფნი H1N1 ვირუსისა და გრიპის სხვა ვირუსებისგან შეიძლება დაიცვან პროფილაქტიკური ზომების დაცვით, ისეთით როგორცაა ხელების სათანადო ჰიგიენა და სუნთქვის ეტიკეტი: პირის დაფარვა ცემინებისა და ხველის დროს. ჯანმო ისევ უწევს რეკომენდაციას აცრას მონოვალენტური პანდემიური ვაქცინით ან სამვალენტური სეზონური ვაქცინით (რომელიც მოიცავს პანდემიურ H1N1 შტამს და სეზონურ H3 და B შტამებს), ხემისაწვდომობის შესაბამისად.

7. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით რა ღონისძიებების გატარების რეკომენდაციები ეძლევა ქვეყნებს?

იმის მიუხედავად, რომ გამოვლივართ პანდემიური პერიოდიდან, საჭიროა ქვეყნებმა შეინარჩუნონ მზადყოფნა ინფექციებისა და აფეთქებებისადმი და განაგრძონ ღონისძიებების გატარება მოსახლეობის გრიპისგან დაცვის მიზნით.

ჯანმო ქვეყნებს ურჩევს:

- განაგრძონ გრიპის მონიტორინგი სასუნთქი გზების დაავადებათა მუდმივი ეპიდზედამხედველობის გზით, გააკეთონ შეტყობინება დაავადების უჩვეულო მოდელის შესახებ, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს დაავადების სიმძიმის პოტენციური ცვლილება, ჩაატაროს ამგვარი მოდელის მონიტორინგი და კვლევა, აგრეთვე H1N1 ვირუსის მონიტორინგი მნიშვნელოვანი ცვლილებების აღმოჩენის მიზნით.
- განაგრძოს პროფილაქტიკისა და კონტროლის ღონისძიებები გრიპის გავლენის შემცირების მიზნით, გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაციის ჩათვლით. პანდემიური მონოვალენტური და სეზონური გრიპის ვაქცინები მოიცავს ახალ H1N1 ვირუსს, ამიტომ შესაძლებელია ორივე მათგანის გამოყენება ხელმისაწვდომობისა და ეროვნული სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად.

H1N1-ით გამოწვეული პანდემია მნიშვნელოვანი გამოცდა იყო ყველა ქვეყნისთვის და ჯანმო ყველა ქვეყანას მოუწოდებს შეაფასოს საკუთარი გამოცდილება და მიიღოს გაკვეთილად, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას მომავალი პანდემიების მზადყოფნისათვის.

8. ეხლა როცა პანდემია დასრულდა, ჯანმო კვლავ უწევს რეკომენდაციას ოსელტამივირს?

საჭიროა თანმიმდევრულად გაგრძელდეს ჯანმოს ხელმძღვანელი პრინციპების განხორციელება ანტივირუსული პრეპარატების გამოყენების შესახებ, როგორც სეზონური, ასევე პანდემიური გრიპის დროს. მიუხედავად იმისა, რომ შევედით პანდემიის შემდგომ პერიოდში, H1N1 ვირუსი განაგრძობს ცირკულაციას სეზონური გრიპის შტამის სახით. სავარაუდოა, რომ კვლავ ექნება ადგილი მძიმე დაავადების შემთხვევებს, როგორც მაღალი რისკის ჯგუფებში, ასევე ჯანმრთელ მოსახლეობაში. ადრეული გამოვლინება და სათანადო მკურნალობა კვლავ მნიშვნელოვანია.

9. რატომ უნდა განაგრძონ ადამიანებმა H1N1 ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაცია?

ჯანმო დაბეჭითებით ურჩევს გამოყენებულ იქნას ვაქცინაცია, როგორც უსაფრთხო და ეფექტური საშუალება, ადამიანთა მიმე დაავადების განვითარებისგან დაცვისათვის. მოსალოდნელია, რომ H1N1 ვირუსი გააგრძელებს ცირკულაციას მთელ მსოფლიოში წლების განმავლობაში; ამასთან მრავალ ადამიანს ჯერ კიდევ მაღალი აქვს მიმდებლობა ამ ვირუსის მიმართ. ჯანმო განსაკუთრებით ურჩევს ჩაიტარონ ვაქცინაცია ჯანდაცვის მომსახურების მიმწოდებლებმა და მაღალი რისკის ჯგუფებში შემავალმა ადამიანებმა.

10. იცავს თუ არა პანდემიური H1N1-ის საწინააღმდეგო ვაქცინა სეზონური გრიპისგან?

მოსალოდნელია, რომ უახლოეს პერიოდში (H1N1)-2009 განაგრძობს ცირკულაციას როგორც სეზონური გრიპის ერთ-ერთი შტამი. ამჟამინდელი სეზონური სამვალენტო ვაქცინა მოიცავს H1N1-ის პანდემიურ შტამსა და სეზონურ შტამებს (H3, B), ამიტომ დაიცავს სეზონური გრიპის ყველა შესაძლო ვირუსისგან. მონოვალენტური (ერთი ვირუსის საწინააღმდეგო) პანდემიური ვაქცინა დაიცავს მხოლოდ H1N1 ვირუსისგან.

რადგანაც არცერთ ადამიანს არ შეუძლია განსაზღვროს, რამდენი და რომელი მოციტული ვირუსით შეიძლება დაინფიცირდეს, ყველაზე ფართო დაცვას უზრუნველყოფს სამვალენტო სეზონური გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინა. ამასთან, დედამიწის ზოგიერთ რაიონში სამვალენტო ვაქცინა ხელმიუწვდომელია და მიმე დაავადების განვითარებისგან დაცვისთვის მიზანშეწონილია H1N1 ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაცია.